ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №48

17.10.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
4. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

მომხსენებელი:

- **ვიქტორ წილოსანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

- სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

ვ. წილოსანი - მიმდინარე წელს სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა. მოგეხსენებათ, რომ სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოება. აღნიშნული მიზნით მიმდინარე წელს დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 19 298 589 ლარი. კერძოდ, დამონტაჟდა 2 658 ერთეული საგზაო ნიშანი, 3 360 გრძ. მ საგზაო ნიშნის დგარი, 83 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, 390 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი მდგრადი ბოძკინტი, 4 111,5 გრძ.მ მოძრაობის სიჩქარის ხელოვნული შემცირების ბარიერები. დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დატანილი იქნა აკრილის საგზაო საღებავი - 3 199,23 კვ.მ, ცივი პლასტი-56 106,19 კვ.მ, თერმო პლასტი -10 703,49 კვ.მ. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა შუქნიშნების მოსაწყობად. შეიცვალა შუქნიშნის 111

მოდული, დამონტაჟდა 21 ცალი ქვეითთა შუქნიშანი, განხორციელდა 121 ცალი შუქნიშნის დგარის მონტაჟი, განხორციელდა წერეთლის გამზირზე 20 შუქნიშნის ობიექტის მონტაჟი და მართვის ცენტრთან დაერთების სამუშაოები. შუქნიშნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვცდილობთ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შუქნიშნების სკოლებთან და ბაღებთან განთავსებას. მოგეხსენებათ, ავტომობილების ზრდასთან ერთად იზრდება სამართალდარღვევების რაოდენობაც, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ახალი დაცული სადგომის საჭიროება. გამომდინარე აქედან, თბილისში, გელოვანის გამზირზე 01.10.11.001.449 საკადასტრო კოდზე განხორციელდა რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სპეციალური დაცული სადგომის მოწყობა. სადგომის მოწყობისათვის დაიხარჯა - 443 022 ლარი. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადებაზე დაიხარჯა 483 260 ლარი. მომზადდა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები 38 პრობლემური კვანძისთვის, 22 ქუჩისა და 4 მოედნისთვის. მომზადდა აღმაშენებლის ხეივნის, ვაჟა-ფშაველა-ქავთარაძე-ყაზბეგის კვეთა (სითი მოლის მიმდებარე ტერიტორია), ვაშლიჯვრის, თავდადებულის, გორგასლის, ცინცაძე-გამრეკელის ქუჩების, წყნეთის გზატკეცილის მოდელირებები. მეტროს ვაგონების მოდერნიზაციაზე დაიხარჯა 9 681 134 ლარი, განხორციელდა 2 ერთეული 81-717 M სერიის მეტროს სათაო ვაგონის და 2 ერთ 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციით. დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანია პარკირების ახალი ადგილების მოწყობა. დაემატა 1623 პარკირების ახალი ადგილი, მათ შორის 66 შ.შ.მ პირთა პარკირებისთვის გამოყოფილი საპარკინგე ადგილი. დაემატა 84 ველო პარკირების ადგილი, 16 დისტრიბუციის პარკირების ადგილი და 16 ტაქსის პარკირების ადგილი. გაუქმდა 114 საპარკინგე ადგილი, აქედან 63 ზონალური პარკირების ადგილი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარკირების ადგილების გაუქმება უკავშირდება ისეთ შემთხვევას, როდესაც აღნიშნული სივრცე საჭიროა საავტობუსე ზოლისთვის. თბილისის ავტობუსების პარკის განახლებაზე დაიხარჯა - 118 119 944 ლარი, სატრანსპორტო კომპანიის ავტოპარკს დაემატა 75 ერთეული - 18 მეტრიანი MAN „Lion's City" 18C მარკის ავტობუსი. 2024 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტალში გატარებული ცვლილებებიდან გამომდინარე, დედაქალაქში მოქმედ M3 კატეგორიის ავტობუსებით NN301,302,308,310,314 მარშრუტებზე ეტაპობრივად ჩანაცვლდა შესახსრებული (18 მეტრი სიგრძის) ავტობუსები. 2024 წლის 16 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და შპს „თეგეტა მოტორსს" შორის გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება (CON240000107) დამატებით 40 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის სახელმწიფო შესყიდვაზე. ამასთანავე, მიმდინარეობს ახალი საავტობუსე ბაზის მშენებლობა. მიმდინარე წლის განმავლობაში M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - 124 399 473 მგზავრი (მათ შორის 60 541 137 შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 47 027 788 სტანდარტული ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 16 830 548 აბონემენტით მოსარგებლე მგზავრი) შესრულებულია - 3 000 564 რეისი. მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), გადაყვანილია - 108 694 519 მგზავრი (აქედან 43 744 465 შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 50 493 140 სტანდარტული ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 14 456 914 აბონემენტით მოსარგებლე მგზავრი), შესრულებულია - 451 639 რეისი. საბაგირო გზით გადაყვანილია - 1 914 012 მგზავრი (აქედან 121 332 შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 1 778 944 სტანდარტული ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 13 736 აბონემენტით მოსარგებლე მგზავრი) შესრულებულია - 243 627 რეისი. M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - 58 076 113 მგზავრი (აქედან 27 139 605 შეღავათიანი

ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 21 952 043 სტანდარტული ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 8 984 465 აბონემენტით მოსარგებლე მგზავრი) შესრულებულია - 3 525 048 რეისი. გაყიდულია 342 242 ცალი აბონემენტი მათ შორის: (1 დღიანი 99 974 ცალი, 1 კვირიანი 8 226 ცალი, 1 თვიანი 193 685 ცალი, 3 თვიანი 7 437 ცალი, 6 თვიანი 15 692 ცალი, 1 წლიანი 17 228 ცალი).

შ.ოგბაიძე - დიდი მადლობა წარმოდგენილი ინფორმაციისთვის. მიმდინარე წელს დედაქალაქისთვის ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა. მუდმივად ხორციელდება ავტობუსების პარკის შევსება და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) მოდერნიზაცია. დიდი ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ასევე, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებაზე ზრუნვას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე